

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

25. 12.2015 წელი

2 ეგზ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N33/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	8
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	9
სახელმწიფო შესყიდვები	9
ქონების მართვა - განკარგვის მდგომარეობა	10
ბიუჯეტის შედგენა - შესრულება	11
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	13
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	14



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსულობებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ორგანიზაციის ბალანსის არასრულყოფილად შედგენით შეუსრულებელია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.



ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის ბალანსი არ არის შედგენილი სრულყოფილად, რითაც შეუსრულებელია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება, ასევე არასათანადო ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ბალანსების შედგენას, მაგალითად:

- გამგეობის ბალანსის ფორმა N1-ში არ არის ასახული: შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარები და ინვენტარის და არაწარმოებული აქტივების ნაშთები წლის დასაწყისისათვის და წლის ბოლოსათვის, იმ დროს როდესაც ფორმა N5-ში შესაბამისად მითითებულია შენობა-ნაგებობები 13 693 807 და 16 698 635 ლარი, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 466 202 და 819 566 ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივები წლის დასაწყისისათვის და წლის ბოლოსათვის მითითებულია 1 919 732 ლარი.
- გამგეობის ბალანსის ფორმა N3 არ არის შევსებული და შესაბამისად არ არის გამოყვანილი წმინდა ღირებულების ნაშთი.
- არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბალანსის შესაბამის ფორმაში არ არის ასახული 620 175 ლარის ძირითადი კაპიტალის მოხმარება.
- არ არის შევსებული არასამეწარმეო იურიდიული პირების ბალანსების ფორმები სრულყოფილად, ასევე ხელმოუწერელია შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ.

ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან ნათელია, რომ წარმოდგენილი ბალანსები არ ასახავს აუდიტის ობიექტის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საანგარიშო პერიოდში არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, საპასუხისმგებლო შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები. ამავე წესის მესამე მუხლის შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად – საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა: ა) იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ; ბ) უძრავი



ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც და გ) საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 დეკემბრის N472 ბრძანებით, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და მასთან დაკავშირებული სათანადო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა კომისია 5 კაცის შემადგენლობით. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის, აღნიშნულ კომისიას არ განუხორციელებია მის მიერ დაკისრებული ვალდებულებები და შესაბამისად არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

3. მუნიციპალიტეტის 2014 წლის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეული ხარჯებიდან 11 540 ლარით არ არის გაზრდილი აქტივების ღირებულება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2014 წელს შესყიდული იქნა 11 540 ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. აღნიშნული დანახარჯების გათვალისწინებით არ არის გაზრდილი ცალკეული ძირითადი აქტივების ღირებულება, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

4. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენლობის პირობებში, მიმწოდებლებისათვის გადახდილია 58 785 ლარი .

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულია და განხორციელებულია სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 58 785 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების წარმოდგენლობის პირობებში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული იქნა მიმწოდებლები, რითაც დარღვეულია ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“¹. ინფორმაცია ხელშეკრულებების შესახებ მოცემულია ცხრილის სახით:

¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება



№	ხელშეკრულების საგანი	მიმწოდებელი	ხელშეკრულების №	გადახდილი თანხა (ლარი)
1	სოფ. სასაფლაოს შემოღობვა	შ.პ.ს. „სტანდარტმეტრ ჯგუფი“	87	11077
2	მოსაცდელების მშენებლობა	შ.პ.ს. „ნიკა“	91	26153
3	გარე განათების მოწყობა	შ.პ.ს. „განათება“	92	16032
4	გაზის მილების მონტაჟი	შ.პ.ს. „ფერია“	111	5523
			ჯამი	58785

5. ხარჯების ნაწილში, შრომის ანაზღაურების მუხლში, არასწორად არის ასახული საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაცია 51 500 ლარი და ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების ხარჯი 8 574,5 ლარი.

2014 წელს ხელვაჩაურის გამგეობიდან დაითხოვეს 55 თანამშრომელი, რისთვისაც გადახდილი იქნა კომპენსაცია 51 500 ლარის ოდენობით. იმავე წელს გამგეობის სამ თანამშრომელს მიეცა ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება² და შესაბამისად მათზე გაცემული იქნა კომპენსაცია 8574,5 ლარის ოდენობით. 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით, ზემოაღნიშნული ხარჯები, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის მუხლის ნაცვლად, დაფინანსებულია შრომის ანაზღაურების მუხლით, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის მოთხოვნები.

6. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან არამიზნობრივად არის გახარჯული 7 111,35 ლარი.

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის N2174 განკარგულების შესრულების მიზნით, აჭარის ავტონომიური

² გამგებლის ბრძანება N03 (08.01.2014წ.); ბრძანება N15 (18.02.2014წ.); ბრძანება N243 (26.11.2014წ.).



რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით³ ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოეყოთ თანხები, მათ შორის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს 3 150 000 ლარი და ქობულეთის მუნიციპალიტეტს 5 445 750⁴ ლარი. აღნიშნული თანხების ფარგლებში მუნიციპალიტეტები ვალდებული იყვნენ უზრუნველყოთ ციტრუსის შემსყიდველი ფიზიკური ან იურიდიული პირი(ებ)ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ციტრუსის ჩამბარებელი ფიზიკური პირის, ციტრუსის შემსყიდველი პირისა და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლის მიერ და ექსპორტის დამადასტურებელი საბაჟო დეკლარაცია), შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ციტრუსის ჩამბარებელ ფიზიკურ პირებზე, მათ მიერ ჩაბარებულ ყოველ 1 კილოგრამ სტანდარტულ ციტრუსზე ციტრუსის შემსყიდველი ფიზიკური ან იურიდიული პირი(ებ)ს მიერ გადახდილი თანხის დამატებით 0.15 ლარის გაცემა. ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ადგილი ჰქონდა ერთი და იმავე დეკლარაციების საფუძველზე ორივე მუნიციპალიტეტიდან თანხების გაცემას, იმ პირობებში როდესაც საბაჟო დეკლარაციაში მითითებული ციტრუსის წონითი ოდენობა ნაკლებია მათ მიერ ანაზღაურებული ციტრუსის წონის ჯამზე. გამოყოფილი თანხებიდან არამიზნობრივად არის გადახდილი 7 111.35 ლარი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

N	დეკლარაციის N	ექსპორტირებული ციტრუსი რაოდენობა დეკლარაციის მიხედვით კგ	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	ზედმეტად ანაზღაურებული	არამიზნობრივად გადახდილი
			კგ	კგ	კგ	ლარი
1	C23804 A23761	25750	21600	25596	21446	3216.9
2	C23184 A23235	20300	20300	20300	20300	3045
3	C8121 A8088	19780	8575	16868	5663	849.45
ჯამი					47409	7111.35

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის

³ 2013 წლის 31 დეკემბრის განკარგულება N262

⁴ 2014 წლის 11 აპრილის N51 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა 5 408 110 ლარით



მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

სახელმწიფო შესყიდვები

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამგეობის მიერ გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ⁵. შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტის, შპს „განათების“ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის თანახმად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ⁶ დანართს, 1 120 განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენდა 4390.4 ლარს, დღგ-ს ჩათვლით 5180.67 ლარს. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ იანვრის თვეში გადახდილია მთლიანი თვის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია 20 იანვარს და შესაბამისად იანვრის თვეში მომსახურება გაწეული იქნა მხოლოდ 12 დღეს. გამომდინარე აქედან, შემსყიდველის მიერ ზედმეტად არის გადახდილი 3 175 ლარი.
- 2014 წელს ხელვაჩაურის გამგეობის მიერ ორ შემთხვევაში გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების შესყიდვისათვის გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ⁷. პირველ შემთხვევაში მომსახურება უნდა გაწეოდა გარე განათების 1 120 წერტს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 65 000 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში 1 491 წერტს, 2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სავარაუდო ღირებულებით 70 000 ლარით. პირველ შემთხვევაში 62 994 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმდა ერთადერთ პრეტენდენტს შპს „განათებას“, ერთეულის ფასი განისაზღვრა 3,92 ლარით. მეორე შემთხვევაში კი კონკურენციის პირობებში, 40 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმდა იგივე ფირმას, სადაც ერთეულის ფასი განისაზღვრა 1,89 ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 43%-ით (30 000 ლარი) შემცირება, შემსყიდველის მხრიდან ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგია. ფასების შემცირება ასევე ფიქსირდება გარე განათების მოწყობის სამუშაოთა შესყიდვისას, რაც მოცემულია ცხრილის სახით:

⁵ SPA140000135

⁶ ხელშეკრულება N13, 20.01.1014წ.

⁷ SPA140000135, SPA140029385



№	განცხადების ნომერი	ხელშეკრულების საგანი	მიმწოდებელი	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (ლარი)	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)	ღირებულების შემცირება (%)
1	SPA140002537	სოფ. ჭარნალში გარე განათება მოწყობა	შ.პ.ს. „მშენებელი-5“	15924	10498	34%
2	SPA140007490	სოფ. ცხემლარაში გარე განათების მოწყობა	შ.პ.ს. „მშენებელი-5“	11735	7103	39%
3	SPA140007489	სოფ. მახოში გარე განათების მოწყობა	შ.პ.ს. „განათება“	4813	2,973	38%
4	SPA140010525	სოფ. სარფის გარე განათება	შ.პ.ს. „განათება“	14000	9450	33%

- მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოთა შესყიდვისას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომლისთვისაც შემდგომში ხელშეკრულებით განსაზღვრულია მისი დარღვევისათვის პირგასამტეხლო. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების გაანალიზებით ირკვევა, რომ შესრულების დროს გეგმა-გრაფიკს არ ექცევა სათანადო ყურადღება და შემსყიდველის მხრიდან არ ხდება მისი მონიტორინგი.

ქონების მართვა - განკარგვის მდგომარეობა

2014 წლის 14 თებერვლის საიჯარო ხელშეკრულების⁸ თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა სარგებლობის უფლებით გადასცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტობუსი. გარდა საიჯარო ქირის გადახდისა მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებული ქონებით მოემსახუროს მაჭახლის ხეობის მოსახლეობას, დააზღვიოს ავტობუსი, გასწიოს მოვლისათვის საჭირო ყველა ხარჯი, სარემონტო და შეკეთებითი სამუშაოები, აგრეთვე სხვა ხარჯები, რაც საჭიროა მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ყოველი წლის არაუგვიანეს 20 დეკემბრისა მესაკუთრესთან წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის მოიჯარეს არ ჰქონდა წარდგენილი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია, რითაც შეუსრულებელია ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება.

⁸ 2014 წლის 14 თებერვლის საიჯარო ხელშეკრულება




ბიუჯეტის შედგენა - შესრულება

შემოსულობები

დაზუსტებული ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტის 2014 წლის შემოსულობები განისაზღვრა 14 663 407 ლარით. ფაქტობრივი შემოსულობები შეადგენს 14 995 440 ლარს (გეგმის 100,26%), მათ შორის შემოსავლები შეადგენს 14 985 134 ლარს (გეგმის 100,26%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 10 306 ლარს (გეგმის 100,6%).

შემოსავალი

დაზუსტებული ბიუჯეტით, 2014 წლის შემოსავლების გეგმა შეადგენს 14 653 165 ლარს, ფაქტობრივი საკასო შესრულება შეადგენს 14 985 134 ლარს, ანუ გეგმის 102,26%. შემოსავლების საკასო შესრულება წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:



ინფორმაცია დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

დასახელება	2014 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა	2014 წლის წლიური შესრულება	%
შემოსულობები	14663407	14995440	102.3
შემოსავლები	14653165	14985134	102.3
არაფინანსური აქტივების კლება	10242	10306	100.6




გაწეული ხარჯი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს გაწეულია 13 255 738 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის:

- **შრომის ანაზღაურება** - 2 424 204 ლარი (გეგმის 99,8%), მათ შორის თანამდებობრივი სარგო 1 672 841 ლარი, პრემია 751 363 ლარი, კომპენსაცია 51 500 ლარი. თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებით გაცემული პრემია შეადგენს 45%-ს.
- **საქონელი და მომსახურება** - 974 310 ლარი (გეგმის 86,8%), მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 9 834 ლარი, მივლინება - 9 550 ლარი, ოფისის ხარჯები - 278 320 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები - 4 373 ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები - 20 000 ლარი, ტრნასპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები -144 687 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 507 546 ლარი.
- **სუბსიდია** - 2 866 188 ლარი (გეგმის 98%). აღნიშნული მუხლით ძირითად ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები
- **სოციალური უზრუნველყოფა** - 1 540 529 ლარი (გეგმის 82,46%). აღნიშნული მუხლით, მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, დაფინანსებულია სოციალური დახმარებები.
- **სხვა ხარჯები** - 424 345 ლარი (გეგმის 58,86%). აღნიშნული მუხლით, დაფინანსებულია სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების, სკოლების და სხვა ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები.
- **არაფინანსური აქტივების ცვლილება** - 5 026 162 ლარით გაზრდილია არაფინანსური აქტივები (გეგმის 59,82%).

ხარჯების საკასო შესრულება წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით





დებიტორული და კრედიტორული დავალიანება

მუნიციპალიტეტის გამგეობის საბალანსო მონაცემებით 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება 378 848,62 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წლის ბოლოსათვის შემცირებულია 74 323 ლარით. კრედიტორულ დავალიანება 2014 წლის 1 იანვრისათვის არ გააჩნდა, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება 60 327,30 ლარის დავალიანება, რომელიც ძირითადად წარმოშობილია 2014 წელს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების წესით⁹, რომლის მიხედვითაც მიმწოდებლებზე დაკავებულ იქნა თანხები ერთი წლის ვადით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის ხელმძღვანელი/

ირაკლი ანანიძე

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის წევრი/

გურამ დუმბაძე

25 დეკემბერი 2015წელი

⁹ თანხის გადახდა ხორციელდებოდა ერთი წლის შემდეგ მიმწოდებლის მიერ დეფექტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრის შემდეგ.



ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის
ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2015 წლის 01 იანვრის მდგომარეობით



ასე სთქ
ოცეზ
03.12.15

ასე სთქ
ოცეზ
03.12.15



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
ფინანსური აუდიტის ანგარიში

დ/ა	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
10	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
20	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
30	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	5603542	5272961
40	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
50	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
60	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
70	ანგარიში სამიჯნუტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
80	დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1260		
90	დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1270		
00	ბანკის სავალუტო ანგარიში	1280		
10	სხვა ანგარიშები ბანკში	1290		
20	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
30	მოკლევადიანი სესხები	1320		
40	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
50	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
60	სამიჯნუტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
70	არასამიჯნუტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
80	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
90	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
00	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მოქმადურების მიწოდებით	1355		
10	გადახდილი დღგ	1356		
20	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
30	სხვა გადასახადო აქტივი	1358		
40	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
50	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
60	მოთხოვნები ბარტერით	1410		
70	მოთხოვნები სადაზღვეო კომპანიების მიმართ	1420		
80	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
90	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
00	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
10	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
20	მოქმედების მიმართ მოთხოვნები	1460		
30	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
40	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
50	გრძელვადიანი სესხები	1510		
60	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
70	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
80	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
90	სტრატეგიული მარაგები	1610		
00	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
10	შენობა-ნაგებობები	2110		
20	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120		
30	სხვა ძირითადი აქტივები	2130		
40	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
50	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
60	ფასეულობები	2300		
70	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		5603542	5272961

უწყ
07.12.15





ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
ფინანსური აუდიტის ანგარიში

დ.ი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (ვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
80	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
90	მოშახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
00	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
10	ვალდებულებები ბარტერით	3230		
20	გადასახდელი მოვების გადასახადი	3241		
30	გადასახდელი დღგ	3242		
40	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
50	სხვა გადასახდელები	3244		
60	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
70	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
80	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	0	0
90	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	0	0
00	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	0	0
10	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
20	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
30	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
40	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული	3257		
50	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
60	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		
70	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
80	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
90	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
00	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
10	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
20	მოშახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
30	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
40	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100		
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		
780	დაუფარავი ზარალი	5230		
	ბალანსი		0	0
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარავები	01		
800	პასუხსაგებ შენახავში მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
810	გადახდისუნარიან დივიდენდების ჩამოწერილი დავალიანება	03		
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
830	პირობითი მოთხოვნები	05		
840	პირობითი ვალდებულებები	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		
870	გადახდაცილებული დავალიანებები	09		
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი	10		
890	განსაკუთრებით გადასაცემი მოძრავი ქონება	11		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

* აღნიშნული სტრიქონის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებებსა და კაპიტალის ჯამს





ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

კოდი: _____

ერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015 წლის 1 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

პრი ონი ს ოდ ი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკაპო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	5,258,117.36	17,426,556.36	-	-	16,653,870.36	16,653,870.36	-
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1,672,841.36	1,672,841.36	-	-	1,672,841.36	1,672,841.36	-
030	1.1.1 ხელფასები	211	1,672,841.36	1,672,841.36	-	-	1,672,841.36	1,672,841.36	-
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	1,672,841.36	1,672,841.36	-	-	1,672,841.36	1,672,841.36	-
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111							-
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							-
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	75,136.50	75,136.50			75,136.50	75,136.50	-
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							-
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115							-
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							-
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							-
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	-	-	-	-	-	-	-
130	1.1.2.1 ფაქტობრივად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							-
140	1.1.2.2 პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							-
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	1,113,678.00	1,114,780.00	-	-	973,910.00	973,910.00	-
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	2201	11,280.00	11,280.00			9,834.00	9,834.00	-
170	1.2.2 მუდმივნიშნები	222	18,200.00	18,200.00			9,550.00	9,550.00	-
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	317,721.00	317,721.00			278,320.00	278,320.00	-
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	800.00	800.00			4,373.00	4,373.00	-
200	1.2.5 სხვა ხარჯები	225							-



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
ფინანსური აუდიტის ანგარიში

210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226							-
220	1.2.7 რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	227	20,000.00	20,000.00			20,000.00	20,000.00	-
230	1.2.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის შესაძენი ხარჯები	228	186,046.00	186,046.00			144,687.00	144,687.00	-
